ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3481077

ნომერი: AR1529263

თარიღი : 01.08.2017

გაცემის თარიღი : 17.08.2017

გაცნობის თარიღი : 30.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის ირგვლივ / ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 37-39 მიმდებარედ , ნაკვეთი 03/158 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ჭოხონელიძე პ/ნ 01007000662
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 2 ბ. 16

ორგანიზაცია:

- სს აქსის თაუერსი კოდი: 405077704

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის №მ–269

არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის პირველ აგვისტოს AR1529263 განცხადებით მომართა თეიმურაზ ჭოხონელიძემ და მოითხოვა 2005 წლის 25 ოქტომბრის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 25 ოქტომბერს №01.14.14.003.065 და №01.14.14.003.075 (ფართობი 4946 კვ.მ და 851 კვ.მ) საკადასტრო ერთეულებზე საოფისე ცენტრის განთავსების მიზნით დამტკიცებულ იქნა #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებითი დავალება.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 21 სექტემბრის №2199478 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში კერძოდ: 2005 წლის 25 ოქტომბრის #მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალებაში, მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა - 6399.00 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა - #01.14.14.003.169; დაემატა ახალი ამონაწერი (განცხადების რეგისტრაციის: #882015296720, მომზადების თარიღი: 02/06/2015 წ.) და საკადასტრო გეგმა (განცხადების რეგისტრაციის: #882015296720, მომზადების თარიღი: 01.06.15 წ.) საჯარო რეესტრიდან; საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი);
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 30 ნოემბრის №2971741 ბრძანებით, Nმ-269 არქიტექტურულ- გეგმარებით დავალებაში, კიდევ ერთხელ შევიდა ცვლილება, კერძოდ, დაემატა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის №882016447338), ამასთან, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობად მიეთითა: 6508 კვ.მ, ხოლო საკადასტრო კოდად დაფიქსირდა: №01.14.14.003.176;)
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს, 2005 წლის 25 ოქტომბრის Nმ-269 არქიტექტურულ- გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N 01.14.14.003.188, ფართობი: 1773,00 კვ.მ) შემოერთებას და ამავე საკადასტრო კოდის და გეგმის დაფიქსირებას, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია;
 “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 25.10.2005 წ. №მ–269 არქიტექტურულ–გეგმარებით დავალება გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის N8-269 არქიტექტურულ- გეგმარებით დავალებაში და დაემატოს ახალი საკადასტრო კოდი, საკადასტრო გეგმა და ფართობი: საკადასტრო კოდი #01.14.14.003.188 მიწის ნაკვეთის ფართობი: 1773 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882016832110; რეგისტრაციის თარიღი 01/12/2016 წ.) და) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017673717, რეგისტრაციის თარიღი 28/07/2017 წ.;
2. ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის N8-269 არქიტექტურულ- გეგმარებით დავალებას შენიშვნის სახით დაემატოს:
ა) „გათვალისწინებულ იქნეს #01.14.14.003.188 საკადასტრო გეგმაზე დატანილი სერვიტუტი;

ბ) №01.14.14.003.188 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1773 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მიწისქვეშა 4-სართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობის უფლებით, მიწისზემოთ შენობა-ნაგებობის განთავსების უფლების გარეშე“.

3. ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის N8-269 არქიტექტურულ- გეგმარებით დავალებას დაემატოს ამავე განცხადებაზე ატვირთული ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ბრძანება.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს, ქ.თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 25 ოქტომბრის N8-269 არქიტექტურულ- გეგმარებით დავალებასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 21 სექტემბრის №2199478 და 2016 წლის 30 ნოემბრის №2971741 ბრძანებებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.